იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი.

ფასი:

წლიურათ	7 მანეთი
ნახევარი წლით	4 მანეთი
თვიურათ	3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვირგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 112

წელიწადი მეორე

1913

ხამშაბათი, 30 ივლისი

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.

ტელეფონი № 149.

ოლამპეულის, ჭურჭლეულო-
ს, ავეჯეულობის და შპალერის
ქ. ქუთაისში.

ფ. ხ. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

ოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურები და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, დუშლები (ფეჩები), სამზარეულოები, ია-
ზე საფენი „ლინოლეუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთები, აუარებელი ასარჩევი ნიმუშები შპალერის თო-
2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის ცემით ფ. ხ. ფილიპოვი.

იიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

ელიწადი მეორე

1913

იმერეთი

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი,
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით.	4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის	1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

ანცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

აზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ“

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

უთაისში მოვაჭრე ამროსი ხვინგია თავის სავაჭროში გაზ. „იმერეთის“ ხე
მომწერლებს სთხოვს რომელსაც არა აქვთ პირველ იანვრიდან გაზეთის და-
ეთი ფული შემოტანილი დაუყონებლივ შემოიტანონ წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.

ახალი გამოგონება მეცნიერებაში

ადერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სოკოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან

ახალი სითხე ქაკმენის ჰჰ

ავრესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის კანტორა კლო ელურული
აისში საწყობი და ნარდი გაყიდვა ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.

მ. ნინოს ქალთა სასწავლებელი
(ქუთაისი)

ით აცხადებს რომ: 1. გარდა უფროსი მოსამზადებელისა, მესამე და
ქვსე კლასებისა, ვაკანსია ყოველ კლასშია; 2. თხოვნების მიღება საჭირო
უთებით შეიძლება ამა წლის 20 აგვისტომდი; 3. მისაღები გამოცდა
ხელმეორე გამოცდანი დაიწყება აგვისტოს 22 დან.; 4. მერვე კლასში
ღება იქნება ატესტატების კონკურსით. თხოვნასთან ერთად უნდა წა-
ადგინონ დოკუმენტები და ნახევარი წლის სწავლის ფასი; უამისოთ თხოვნები არ განიხილება.

თფილისის მეორე რვაკლასიანი

ომერციულ სასწავლებლის ადმინისტრაცია ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ განყოფილებაში და 1, 2, 3, 4, 5, და 6 კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან.

ველ კლასში მიიღებიან	10—12 წლ.	მეოთხეში	„	„	13—16 წლ.
ორეში „	„ 11—14 „	მეხუთეში	„	„	14—17 „
სამეში „	„ 12—15 „	მეექვსეში	„	„	15—18 „

ადრესი: პანასევიჩის ქუჩა, № 38.

ქ. ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები
გ. გ. გივინეიშვილისა.

ურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით. (გიმნაზია,
ამოქალაქო და სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა.
წავლის ფული ასი მან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა, სახლი ბარქაიასი,)

ქუთაისი.

პაიზე დამყარებული ამხანაგობა

კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი.

გაზაფხულისა

და ზაფხულის სეზონი

ტრიკო,
კასტორი,
დიოგონალი,
ჩეჩუნჩა,
რაგოჟი,
ტილო,
პარუსინა,
ბატისტა,
კისეია,
შემიზი,
ჩითი.

პოპლინი,
მესალინი,
ჟივრონი,
ლიბერტი,
ლევანტინი,
სტოლსაფრები,
„პოკრივალო“,
პირსახოცი,
ხელსახოცები,
მადაპალამი,
ლანკორტი.

იყიდება მხოლოდ ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, თფილისში.

კანონი

გლეხთა სოფლელთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა ნადელის დახსნითა და შე-
ერევნის, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში.

ВРЕМЕННАЯ

инструкція должностнымъ лицамъ и учрежденіямъ по приведенію въ исполненіе Закона 20 декабря 1912 г.

ქალთა პროგიმნაზია
მარიამ კვინიხიძის ასულისა

გადავიდა იმავე თფილისის ქუჩაზე ობორინის შესახვევის კუთხეში. გამრეკელის შენობაში.

მოწაფეების მიღება დაიწყება ყველა კლასში 15 აგვისტოდან.

მსურს შევიძინო კარგათ გაწყობილი

ეტლი,

რეზინის შინებით და რწყვილი ცხენით. მომართეთ აგვისტოს ათამდი ახალსენაკში (მოთხოვნამდი) ტ. ი. ჩ—ს. პასუხი რუსულათ.

ЖЕЛАЕТЪ ИМЕТЬ

въ неболшомъ семействѣ интелигентномъ на учебное время двѣ комнаты съ подлиннымъ пансiономъ для дамы и гимназиста. Предложенія просимъ адресовать Ново-Сенаки Кут. губ. домъ священика Гамзардія. Гашенко.

დღიური.

ბუქარესტის სამშვიდობო კონფერენციამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა სთხოვოს ევროპის სახელმწიფოებს, რათა მან ოსმალეთს დაათმობინოს ბულგარეთისათვის ფრაკია და ადრიანოპოლი.

— ბუქარესტიდან ბულგარეთის დელეგატები დაღონებული წავიდნენ. აუწერელი უბედურება დაგვატყდა თავსო უთხრეს ჟურნალისტებს.

— ბულგარეთმა კავალა საბერძნეთს დაუთმო.

— სტამბოლში სახელმწიფოების ელჩებმა პორტასათვის წარსადგენი ქაღალდი შეიმუშავა.

— პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ „ტრუდოვოი გოლოსის“ გამოცემა აკრძალა.

— პეტერბურგში პოლიციამ აღმოაჩინა კარგათ მოწყობილი დიდი არალეგალური სტამბა.

— დეპუტატ სვენიცკის ბინა გაჩხრიკეს და 400 წიგნაკი წაიღეს.

— ბერლინში უარყვეს ცნობა, ვითომც სტამბოლელი გერმანიის ელჩი რუსეთს დამუქრებოდეს.

— გუშინ საზონოვთან ხანგძლივი მოლაპარაკება ქონდა.

— ადესაში ათონიდან თავის ნებით წამოსული 212 ბერი მივიდა.

იყიდება

ქუთაისში „პოდგორნი“ ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი“ ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

ექიმი ი. ჩარ[illegible]

[illegible] რიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე. გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

ექიმი გ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

შინაგან სნეულებათა **ექიმი**

ნიკ. ივ. შენგელია. მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი.

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

გაზეთი „იმერეთი“ იყიდება მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთან, იქვე მიიღება ხელისმოწერაც.

— ბულგარეთში დაბეჯითებით ლაპარაკობენ, ბულგარეთი ოსმალეთს ხელმეორეთ გამოუცხადებს ომსო. ადრიანოპოლზე იერიშის მისატანათ ახალ ჯარს აგროვებენ.

— ოსმალეთმა ბულგარეთს მოსთხოვა: ყველა ის ზარალი აღმიდგინე რაც თქვენმა გაბრუნებულმა ჯარმა ჩემს მხარეს მიაყენაო.

— ოსმალეთმა ჯარი ოთხი კორპუსით გააძლიერა.

— სანტო-კვარანტოში აჯანყებულ ალბანელთა დასამშვიდებლათ, საბერძნეთმა 3 ათასი ჯარის კაცი გამოიყვანა.

პოლიტეხნიკუმზე.

ვინ არ იცის, რომ პოლიტეხნიკუმის დაარსებას თფილისში დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის. დიდიხანია კავკასიის მკვიდრნი, ეროვნების განურჩევლათ, მოუთმენლათ ელოდენ ამ საკითხის გადაწყვეტას და ეს მოლოდინი კიდეც ასრულდა: გადაწყდა თფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსება, რასაც ყველა დიდი სიამოვნებით მიეგება,—მაგრამ დაიბადა მეორე საკით-

მაკრინე ოტია გოცირიძის ასული ამირეჯიბისა, სიმონ და მინა მიხეილის ძენი ამირეჯიბები, ლიდია იაგორ მდივნის ასული ამირეჯიბისა, ოლღა ოტია ჩიქოვანის ასული ამირეჯიბისა, თ. ათინა იოსებ ამირეჯიბის ასული ერისთვისა და თ-დი ალექსანდრე სპანდიერის ძე ერისთავი გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა უდროოთ გარდაცვალებასა საყვარელის და დაუვიწყარის პირველი შვილისა თვისისა, მეორენი დისა მათისა, მესამენი მეუღლისა მათისა, მეოთხე ბიძაშვილისა თვისისა და მეხუთე ცოლისდისა თვისისა პოლკოვნიკის ქვრივის

ბაიანე მიხეილ ამირეჯიბის ასულის ჯაფარიძისას,

უმორჩილესათ სთხოვენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ რათა პატი სცენ და დაესწრონ მიცვალებულის ცხედრის გამოსვენებას და დაკრძალვას წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე მარიამობისთვის 2 რიცხვს 1913 წ. დღით პარასკევს, ნაშვადღევის 5 საათზე, სოფელ მესხეთში (ქუთაისის მაზრა), განსვენებულის საკუთარ სახლში.

ხი: ქალაქის რომელ ნაწილში უნდა აშენდეს ეს ახალი დაწესებულება? ამ საკითხის გადაწყვეტა მეტათ გასჭირდა და დღესაც ძნელია ითქვას, როგორ გადაწყდება. ამ საკითხს, სამწუხაროთ, ეროვნული თვალსაზრისით შეხედეს, და ამან კი—ვიწრო ეროვნულმა გრძნობამ ბევრ გავლენიან პირს კულტურული მისწრაფება დაუხშო. შეიქნა მითქმა-მოთქმა და გამწვავდა საკითხი ისე, რომ ვნებათა ღელვით ბურანში გახვეულმა ზოგიერთმა მებრძოლმა ყოველგვარ საშვალებას მიმართა, რომ ეს საკითხი საზოგადო კულტურული ნიადაგიდან ვიწრო ეროვნულზე გადაეტანა.

საკითხი თავისთავათ მარტივია და ადვილი გადასაწყვეტიც იყო, რომ ეროვნულ შუღლსა და ამაზე აღმოცენებულ ავათმყოფ თავმოყვარეობას არ შეექმნა საეჭვო პირობები.

თავიდან დაასახელეს ორი ადგილი: ვერისკენ საბურთალო და ავლაბრისკენ ნავთლუღი. ეს ორი ადგილი უნდა შეედარებიათ ერთიმეორისთვის, დაეპირდაპირებიათ მათი ღირსება ნაკლულოვანება და სადაც უფრო შესაფერი და ხელისშემწყობი პირობები იქნებოდა, პოლიტეხნიკუმიც იქ დარჩებოდა. შემოწმება აღნიშნული ადგილებისა სრულებით ძნელი არ იყო, არათუ აქაური, მგზავრიც ადვილათ დაინახავს, რომ თვალსაჩინოა საბურთალოს უპირატესობა: სუფ[illegible] რობა, ცივ წმინდა წყაროები, გარშემო მთა-გორები, ნოყიერი ნიადაგი და სხვა. თუ დაუკვირდები მკითხველო, დარწმუნდები, რომ ეს ადგილი ძლიერ კარგია და თითქოს განზრახ ამ დარგის სასწავლებლებისთვის იყოს გაჩენილი, რადგან ერთი უსაჭიროესი განყოფილება პოლიტეხნიკუმისა იქნება სამეურნეო, რომლისთვისაც ისეთი ძვირფასი საცდელი მიდვრებია გარშემო, რომ უკეთესი წარმოუდგენელია თფილისის მაზრაში.

ყოველ ზემოაღნიშნულ ღირსებას მოკლებულია ნავთლუღი, რომელიც უდაბნოს კუთხეს მოგვაგონებს და არა საბაღე ადგილებს. არა თუ ახალგაზდა, მოხუციც არ ამოჩნდება თფილისში გითხრასთ, რომ ნავთლუღში გაზაფხულის პირიდან ცოცხალი, მწვანე მცენარე ენახოს. შედარებით უნაყოფო და უხეირო ადგილები თუ არის თფილისის გარშემო—აქ პირველი ადგილი ნავთლუღს უჭირავს.

საკითხი რომ ისე დაესვათ, რომელი ადგილი სჯობსო, მაშინ საქმე ადვილათ გადაწყდებოდა, მაგრამ სომხის ბურჟუებმა ისარგებლეს მით, რომ პოლიტეხნიკუმისთვის მთავრობამ დიდი შეწირულება მოითხოვა. იმათ დიდ შეწირულებაზე თანხმობა განაცხადეს, თუ ნავთლუღი იქნებოდა არჩეული. ამ გარემოებამ საქმე შეაჩერა და სფერებში რყევა შეიქნა. ამ საკითხმა დააინტერესა ყველა და მათ შორის თფილისის თავადაზნაურობა, იგი შეედავა სოლოლაკელთა გადაჭარბებულ ტენდენციას. მართალია, საბურთალოში უმეტესათ და განსაკუთრებით ქართველების მამულია, მაგრამ საკუთრების პრინციპს აქ უპირველესი ადგილი არ უჭირავს და არც აქვს გადამწყვეტი ხასიათი. თავადაზნაურობის პოზიციას ამაგრებს თვით ადგილის ღირსება და არა ეროვნული მისწრაფება. თავადაზნაურობამ გაბედა დიდძალი შეწირულების გამოღება: ოთხმო[illegible] მო და ათასიც მისავე სასარგებლოთ გასაყიდათ.

თვით ადგილის ღირსებით კმაყოფილი და სასწავლებლის მომავლით დაინტერესებული კ. სამოსწ. მზრუნველიც თავგამოდებით იცავს იმ აზრს, რომ პოლიტეხნიკუმი უეჭველათ საბურთალოში იქნეს.

ნავთლუღში მემამულე სომხთა ინტერესების დამცველი და თავისი სამსახურის ავტორიტეტით თავმოყვარეობა ათამაშებული ქალაქის მოურავი ხატისოვი კი დაუცხრომლად მირბი-მორბის, რომ პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში მოაქციოს. თფილისის ინტერესი სომხების ინტერესათ აქცია და პოლიტეხნიკუმის მომავალი მას დაანაცვლა; ჰიგიენური და სამეურნეო უპირატესობა საბურთალოსი უკუაგდო და სხვერპლათ შესწირა ვიწრო ეროვნულ ტენდენციას. აი, რა გზას დაადგა ბ. ხატისოვი, რომლის ფიზიონომია სავსებით გამოირკვა და დღეიდან ყოველი მისი ჯამბაზობის მიუხედავათ აშკარა იქნება მისი მოღვაწეობის პლატფორმა.

ამგვარათ დაისახა ორი განსაზღვრული პრინციპი საზოგადო კულტურული და ვიწრო ეროვნული. პირველი პრინციპის გამომხატველი და დამცველი არის ოლქის მზრუნველი რუდოლფი—მეორისა კი ქალაქის მოურავი ხატისოვი.

საბოლოოთ გადაწყვეტა ამ საკითხის მინდობილი აქვს განსაკუთრებულ კომისიას, რომელმაც ეკენისთვის პირველ რიცხვებში უნდა გაათავოს საქმე.

მეტათ სამწუხარო იქნება, რომ რაიმე მავნე საშვალების ზეგავლენით კომისიის უმეტესობამ ნავთლუღის მხარე აირჩიოს პოლიტეხნიკუმის ბინათ და ამ ძვირფასი სასწავლებლის მომავალი ამით შეაფერხოს. თფილისი დღითი დღე იზდება და საბურთალო სწორეთ ის კუთხეა, საითაც ბუნებრივი გზაა მომავალი ქალაქისთვის.

ტრიფონ ჯაფარიძე.

საგარეო პოლიტიკა.

კაცობრიობის ისტორია წარმოადგენს ორი პრინციპის, იმპერიალიზმისა და პოლიტიკური წონასწორობის, ბრძოლას.

პირველი პრინციპი რეაქციონურია: მას რომ დარჩენოდა გამარჯვება,—ცხოვრება გაიყინებოდა, პროგრესი შეჩერდებოდა,

ისტორიის პირველ საფეხურზე მოქმედებენ თავისუფალი თემები, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზმები.

პიროვნების თავისუფლება, ინიციატივა [illegible] და, თუ ოდესმე გმირობა და შემოქმედებითი ნიჭი გამოუჩენია ერს, სწორეთ ხსენებულ დროს უნდა უმადლოდეს უმთავრესათ.

მაგრამ, როდესაც კი მიწის მუშაობა იმდენათ განვითარდა, რომ შესაძლებელი შეიქნა დიდი ჯარების შენახვა და რჩენა,—დაიბადა მილიტარიზმი და თან იმპერიალიზმი.

გაქრა პირვანდელი თავისუფლება და დამოუკიდებელი თემების ნაცვლათ დიდი მონარქიები გაჩნდენ.

ამგვარი იყვნენ მონარქიები: ძველი ბაბილონისა, ეგვიპტისა, ასსირიისა, სპარსეთისა, რომისა და სხ.

ძველი რომი სწორეთ მაშინ აწარმოებდა იმპერიალისტურ პოლიტიკას, როდესაც იქ რესპუბლიკა სუფევდა

სწორეთ მაშინ გაანადგურა რომმა ისპანიის სელტიბერები, დაანგრია ძველი ცივილიზაციის ერთი უდიდებულესი კერა—კართაგენი, ცეცხლსა და მახვილს მისცა ნუმიდია, დაიმორჩილა, მცირე აზია, ეგვიპტე. სამხრეთი გალლია, ბალკანეთის კელტები დუნაიმდი და ალპების მთიულნი.

სპარსეთი ცილობას ვერ უწევდა. ეგვიპტემ აღიარა რომის უზენაესობა. სხვა სახელმწიფოები მის პროვინციებათ გარდაიქცენ.

ამ იმპერიალისტურ პოლიტიკას ხომ მთავარ სარდლების გამეფება და ცეზარიზმი მოყვა შედეგათ.

და მას შემდეგ ხომ რომის ხმალი და ცეცხლი განუკითხველათ თრგუნავდა ყველაფერს.

ცეზარს შეეძლო სამი მილიონი გალლი გაეჟლიტა და დაეუძლურებია გალლია, წაერთმია მისთვის უნარი მოგერებისა და თავდაცვისა რამდენსამე საუკუნებ შემდეგ გერმანელთა წინააღმდეგ.

იმპერატორებმა ვესპასიანმა და ტიტმა გაანადგურეს პალესტინა, გაჟლიტეს რამდენიმე მილიონი იუდეელი და გაფანტეს მათი ნაშთი ქვეყანაზე.

მაგრამ ვინ დაბერავდა სულს?! ვინ ამოიღებდა ხმას?! ვინ გაუბედავდა რომს წინააღმდეგობას?!

დღეს კი იმარჯვებს პოლიტიკური წონასწორობის პრინციპი. თუ მაშინ ერთი სახელმწიფო იყო გაბატონებული მთელ განათლებულ ქვეყანაზე, ახლა მრავალი დამოუკიდებელი სახელმწიფო ეცილება ერთმანეთს.

ინგლისი, ავსტრია, გერმანია და საფრანგეთი რომ ხელს არ უშლიდენ ერთმანეთს, ბალკანეთის სახელმწიფოები აქამდე ჩაიყლაპებოდა რომელიმე დიდი სახელმწიფოს მიერ. დღეს კი მათ სრული დამოკიდებულობა მოიპოვეს.

გერმანია [illegible] ჩრდილო შტატები რომ არ შეცილებოდენ, თითქმის მთელი აფრიკა მარტო ინგლისის ხელში იქნებოა.

და გერმანიასა და საფრანგეთს უნდა ვუმადლოდეთ, რომ სუეზის არხი, ეს მასალები ქვეყნიერობისა, 1884 წლიდან ნეიტრალათ არის აღსარებული.

აღვნიშნოთ თანამედროვე ფაქტები.

ბალკანეთის სახელმწიფოებმა ხელი აალებინეს ოსმალეთს ალბანეთზე, ეპირზე, მაკედონიაზე და ფრაკიაზე.

და ვერც ავსტრიამ, ვერც იტალიამ და ვერც რუსეთმა ვერ გაბედეს ეგდოთ ხელში მცირეოდენი ნაჭერი ბალკანეთისა. რატომ? იმიტომ, რომ საქვეყნო ომის შეეშინდათ.

მათდა სამარცხვინოთ საბერძნეთი და სერბია ბულგარეთს მიესიენ, რადგან ამ უკანასკნელ სახელმწიფოს უნდოდა თვი[illegible] მაკედონია, მეტ წილად ბულგარლებით დასახლებული მათ შეუერთდა. რუმინიაც, რომელსაც ოსმალეთთან ომში მიუღია მონაწილეობა, მაგრამ მოისურვა ძველი ანგარიშის გასწორება—ბულგარეთთან.

ასტყდა უსწორო ომი. შეესიენ ბულგარეთს. დამარცხებულმა ოსმალეთმაც აღარ მიხედა წინადღეს ხელმოწერილ სამშვიდობო პირობას, წაიწია წინ და დაიჭირა ადრიანოპოლი.

ავსტრიამ სცქვიტა ყურები: მზად იყო შეჭრილიყო სერბიაში, თუ ბულგარეთი მთლად დამარცხდებოდა.

მაგრამ რუმინიის მთავრობამ თავს იდო მეომარი სახელმწიფოების შერიგება და ბუქარესტის სამშვიდობო მოლაპარაკება შერიგებით დასრულდა.

მტრის გული არ გაახარეს. დათმობის პოლიტიკას დაადგენ და ყველა მოგებული შეიქნა.

მეორე მხრით, ავსტრიას რომ თავი არ გამოედვა, ალბანეთი ვერ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას: სერბიისა და საბერძნეთის მიერ იქნებოდა განაწილებული.

ოსმალეთის განდევნა კი ადრიანოპოლიდან არ გაუჭირდებათ: ამისთვის რუსეთის დახმარებაც არ დასჭირდებათ.

გაიმარჯვა, მაშასადამე, პოლიტიკური წონასწორობის პრინციპმა.

მეორე მხრით საშინელი ამბავი მოხდა ბოჰემიის სამეფოში, რომელიც ავსტრიის პროვინციას წარმოადგენს.

იმპერატორმა ფრანც იოსიბმა დაითხოვა პრაგის სეიმი და მისი აღმასრულებელი კომისია, რომლის ნაცვლათ დანიშნა რვა მოხელე გრაფ შენბერნის მეთაურობით.

არ აღნიშნა ამასთანავე ვადა, როდის უნდა მოხდეს ახალი საზეიმო არჩევნები.

ბოჰემიის ანუ ჩეხიის, კონსტიტუცია დარღვეულ იქმნა.

ჩეხებმა [illegible] პროტესტს, მოუწოდებენ ხალხს არ გადაიხადონ გადასახადი, არ დაემორჩილონ ახალ ბიუროკრატიულ მთავრობას.

ბოჰემიის გერმანელებს კი უხარიათ კონსტიტუციის გაუქმება.

მათი ბრალი იყო, რაც მოხდა. სამი წელიწადია, ობსტრუქცია გაუმართეს სეიმს.

იმგვარათ უშლიდენ ხელს, რომ სეიმმა ვეღარ დააწესა ახალი გადასახადები და სამეფო კასსა დაცარიელდა.

იმპერატორი იძულებული შეიქნა დაეთხოვა სეიმი.

საუბარი.

ძველი ქრისტიანული და ახლანდელი ჩვენებური ქველმოქმედება.

ერთი უდიდებულესი შედეგი ადამიანის კეთილ ზნეობისა ქველმოქმედებაა.

ყოველი ერის საზნეო კანონი და მორალური ფილოსოფია ერთიმეორის შებრალების პრინციპის განხორციელებას ესწრაფოდა.

დიდებული მოძღვრის, იესო ქრისტეს მცნება პირველყოვლისა მოყვასთათვის თავდადებას ითხოვდა და ითხოვს დღესაც.

ვინც მშიერ მწყურვალეს განიკითხავს ვინც ტყვეობაში მყოფს, სნეულსა და დავრდომილს მიხედავს, წმიდა სახარება მას საუკუნო ცხოვრებას და სასურველს პირდებოდა და პირდება დღესაც.

ქრისტეს ეკლესია თავიდან ქადაგებდა, რომ მოყვასისათვის თავდადება, მისი შებრალება ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანის იდეალი უნდა იყოსო, ხოლო მარტოთ მარტო თავისი თავისათვის ზრუნვა მსწრაფლ ბედნიერებას თუ მიაყენებს ადამიანსო.

ერთმანეთის ჭამა-ღლეჯის ხანაში ახალმა ეკლესიამ უმაღლეს ზნეობრივ სათნოებათ გლახაკთა და უმცირესთა ფერხთა ბანაც კი წამოაყენა და სამაგალითო მისაბაძავათ ისეთ მოწყალე და შემბრალე მხედრებსა და მოქალაქეებზე უთითებდა, რომელთაც მეორე პერანგი მკეთროვანი გლახისათვის შესამოსლათ მიეწოდებია, იმ მიზნით, რომ ამით ქრისტეს სამსახური და მოყვასისადმი სიბრალულიც გამოეჩინა.

ვიდრე ქრისტეს ჭეშმარიტი მოძღვრება მის მოსავთაგან მტკიცეთ იყო დაცული და ეკლესია პოლიტიკის ყურმოჭრილი მონა არ შეიქნა, იგი ყ.-დ შემძლებელ კლასესაც მუდამ ღონიერათ ჩასძახოდა ყურში:

თქვენ და სხვანი, თქვენ მაღალნი და მცირედნი ერთი შემოქმედის ხელმა ერთისა და იმავე თიხისაგან შეგქმნათ, და მაშ, უზენაესი განგების წინაშე თანასწორნი ხართო,—და ამიტომ უმცირეს ძმათათვის ზრუნვა ყოველ ქრისტიანისათვის სავალდებულო საქმეაო.

და აი, ღვთის წინაშე ყოველთა ადამიანთა თანასწორობის პრინციპის წამოყენებამ და საუკუნო ცხოვრება-ცხონების იდეალმა შეუწყო ხელი მონობის მოსპობის მოძღვრებასა და პროპაგანდას.

სწორეთ ამის გამო მოხდა ის საკვირველი მოვლენა, რომ დედამიწის ზურგზე ჯერ არ ყოფილა ისეთი საზოგადოება, ისეთი ჯგუფი და წრე, რომელთა წევრებს შორის ასეთი ღონიერი და ცხოველ მყოფელი სიყვარული დამყარებულიყოს, ისეთი სიყვარულის კავშირით შეკავშირებულიყვნენ, როგორითაც პირველი ქრისტიანები განიდევნა ჯვარცმის ხანაში:

თითქმის ყოველს მათგანს თვისი „მე“ დაეკარგა, დავიწყებოდა და თითოეული მათგანი ერთიმეორეში გადასულიყო და ერთიმეორის ჭირის მოზიარე გამხდარიყო.

ყოველ წირვაში ერთხმათ შეღაღადებდენ ზენაარსს: „ვიყვარებდეთ ურთიერთ არსებათა ერთობით აღვიარებდეთო“.

ვაი, ბეჩავ, მკითხველო, ჩვენ რომ ახლა ურთიერთარს ვიყვარებდეთ და ერთობათ აღვიარებდეთ, განა ასე დაწიხლული და წვალებული ვიქნებოდით!?

მაგრამ ჩვენ კიდევ განვაგრძოთ:

ასეთმა სიყვარულის მაგალითმა და მოღვრებამ კლასთა და ნაციათა შორის ამართული კედელიც თითქო დაარღვია და სამაგიეროთ აღძრა ისეთი თვისებანი, რის წყალობითაც ოდნათ მაინც განელდა ცხოველური ტლანქი ინსტიქტები:

მცირე და დიდი, მოწყალების და შებრალების გზას დაადგა.

მაცხოვარი დიდი შეწირულების ფასსა სდებს იმ წვლილს, რომელიც ებრაელის ულარიბესმა დედაკაცმა სალოცავის წმიდა საუნჯეს შესძინა.

დოსტოევსკი და ტოლსტოი საზოგადოების კეთილათ გადაქმნას სიყვარულისა და მოწყალების ქადაგებით, ქრისტიანული მორალის აღდგენით ლამობდენ: მათი ლიტერატურული მოღვაწეობა ნიშნობლივ სწორეთა ამ სულით გაცხოველებულს ნაკადულს წარმოადგენს, ისეთი მოძღვრების ნაკადულს, რომელიც თითქო სოციალური რელიგიის შექმნას ესწრაფვისო.

ინგლისის დიდებული ფილოსოფოსი, ევოლიუციის მეტყველი, ენსპენსერი ალტრუიზმის იმედზე ამყარებს ახლანდელი საზოგადოების ხსნისა და შველის იმედს და ეს თეორია—ალტრუიზმი ხომ მოყვასთა სიყვარულის თეორიაა. და აი, სწორეთ ქრისტეს მოძღვრებისა და ამ ფილოსოფიის ხელჩაკიდებულ თანხმა ქადაგების გავლენით ინგლისის საზოგადოების ყოველი კლასი თითქო რაღაც განსაკუთრებით გრძნობიერი შეიქმნა, და ახლა, რამდენათაც გაგვიგონია და ამოგვიკითხავს, აქაური მოქალაქის ყოველგვარი ტანჯვა უფრო მეტს თანაგრძნობასა და სიბრალულს იწვევს [illegible], ვიდრე სხვა რომელიმე ევროპიელთა შორისო; ყოველი უსამართლობა აქაურს საზოგადოებაზე მეტს შთაბეჭდილებას ახდენს და უფრო მეტს პროტესტს იწვევს მჩაგვრელების წინააღმდეგ.

აქ უფლება მოსილ კლასსაც კი თითქო დიდი ზნეობრივი გულჩვილობა დასჩემებია და იგი ნელნელა უნებლიეთ კარგავს თვისი ძლიერების განგრძობის იმედს...

მიუხედავათ მისი გაბატონებული მდგომარეობისა და ძლიერების მართველი კლასებიც კი თანდათანობით გრძნობენ, რომ ვერ შესძლებენ გაუმკლავდენ იმ მოძრაობას, რომელსაც უნდა მასის კეთილდღეობა მათი მონაგარით გაზარდოს და გაამაგროს; პრივილეგიის კლასთა უძლიერეს წევრებსაც ეტყობათ, თითქო ხალხისკენ გადადიანო, და, თუ იბრძვიან, მათი ბრძოლის პოლიტიკა მხოლოდ იმით იხატება, რომ დათმობის გზას ადგებიან, რათა ამ თანდათანი თანხმობით თავი გადაირჩინონ და თვისი მონაგარისაგან საკმაოთ კიდევ და რამე ხელთ შეირჩინონ.

მართალია, ჩვენში ალტრუიზმის ფილოსოფიური თეორიები არ ყოფილა, მაგრამ მისს მაგივრობას ქრისტეს რელიგია, მაცხოვრის მოძღვრება შვრებოდა, რადგანაც ერთსაც და მეორესაც მიზანი ერთი და იგივე ქონდა ყოველთვის.

საბერძნეთს შემდეგ ქრისტიანობამ პირველი აკვანი საქართველოს ნიადაგზე დაიდგა და ისეთი ძლიერებით მოიკიდა ფეხი ქართველთა სულსა და გულში ამ სიყვარულისა და მოწყალების სწავლა-მოძღვრებამ, რომ მით გატაცებული ქართველი ჯვარცმულის თავდადებულობის და [illegible] მოწყალების მაგალითს გულმოდგინეთ და ბეჯითად ბაძავდა.

და როცა სარწმუნოება ყ.-დ ძლიერია ხალხის ნაციონალური ხასიათი იცნობება მით, თუ როგორ მიიღო ამა თუ იმ ერმა ეს სარწმუნოება, რა ადამიანური სათნოება და სიკეთე გამოიწვია მის ცხოვრებაში.

ქრისტიანობამ ქართველობაში, სხვათა შორის, ერთი დიადი და მეტათ ძვირფასი თვისება აღძრა—ქველმოქმედება, ქველმოქმედება ქრისტიანული,—ისეთი, როგორსაც მოითხოვდა ქრისტეს ნამოძღვრი მორალი.

ამ დროს ჩვენი წინაპარნი, მეფეები მოხუცებული და ,,ვალმოხდილი'' სარდლები, მაღალი გვარისა და წოდების შვილნი და მცირედნიც ყველა, თითქო, ქველმოქმედებას იყო გადაყოლილი; ყველა თავის მონაგარს, მრავალი იყო იგი თუ მცირე, უთუოდ სულიერი სიმშვიდისა და საუკუნო ცხოვრების მოპოვებისათვის დაუზოგავათ და გულმოდგინე უხვობით იმეტებდა წმინდა საყდრის შესამკობათ და მისი საკურთხევლის მოსამსახურეთა საკეთილდღეოთ.

ძველი საქრისტიანოს წმინდა ადგილებზე—უცხოეთში კვიპრსა და ანტიოქაში, იერუსალიმსა და ათონზე, და შინ მთელს საქართველოში, ყოველი ფეხის გადადგმაზე ასეთი ქველმოქმედების და საღვთო საქმისთვის ხელგაშლილობის მოწმე ძეგლები და მათი ნაშთები დღესაც აუარებელია ყველგან.

ახლანდელი ქველმოქმედნი და შემწირველნი კი, მართალია, თითზე ჩამოსათვლელნი არიან, შეწირულებაც მცირედი, მაგრამ სასიხარულო და საიმედო ისაა, რომ ეს შეწირულებანი ახალი

შეოთვენ და დრტვინავენ ჩეხები. ნიშნის გებით უპასუხებენ გერმანე- ბი.

ამ შინაურ მტრობას შედეგად მოყვა ნტრალიზმის გამარჯვება, ე. ი. ფედე- ლიზმის დამარცხება.

ნუთუ ბუნებრივია ამგვარი დამო- ებულება ერთად მცხოვრებ ორ ერს რის?!

ერმანელები მოითხოვენ საკუთარ მინისტრაციას, უნდათ წარმოადგენ- ნ სახელმწიფოს სახელმწიფოში.

ეს მოთხოვნილება, რასაკვირველია, აჭარბებულია, მაგრამ, ვფიქრობ. ძლებელი არ იქნებოდა ისეთი შე- ხმება და მეგობრული დამოკიდებუ- ბა, როგორიც სუფევს შვეიცარიის ტონებში გერმანელთა, ფრანგთა და ალიელთა შორის.

მაშინ კი. უეჭველათ ფედერალიზმის ნციპს დარჩებოდა გამარჯვება.

ებრაელთა უფლება ისე, როგორც სეთში, არსად არ არის შეკვე- ლი.

ებრაელს უფლება არ აქვს იცხოვროს ადგილს გარეშე, რომელიც დანიშ- ლი აქვს საცხოვრებლათ.

რუსეთის ებრაელები, შეიძლება ათ, საპყრობილეში სხედან.

გარემოებას უნდა მივაწეროთ, რომ ჩებელი ებრაელი სტოვებს რუსეთს ებს ახალ ბინას, სადაც მათ არა ნ.

რე ამერიკა, ეს მდიდარი დემო- ი რესპუბლიკა, იზიდავს მათ.

რეთ ამ გარემოებამ ჩაგდო სა- ი რუსეთის ბიუროკრატია.

კადასახლებული ებრაელი რუ- ბრუნდება, როგორც ამერიკის ქ, სხვადასხვა სავაჭრო საქმეებს

მას ისე უნდა მოეპყრონ, რო- ც დიდი რესპუბლიკის მოქალა-

ვერ მოინელა რუსეთის ბიუროკრა- და აუკრძალა საზღვარ-გარეთელ ელთ რუსეთში თავისუფლათ შე- ლა.

რომ არც ამერიკამ მოიწონა მოქ- ქეთა უფლების ასეთი დამამცირებე- შეზღუდვა და აღარ განაახლა სავაჭრო შეკრულება, რომლითაც, ასი წელი- ა, შეკავშირებული რომ არის რუ- თან.

ხელშეკრულობის გაუქმება დიდ ნომიურ კრიზისს უქადის რუ-

ტადრე ბამბის საქსოვი ქარხნები რალებენ, რადგან თვით რუსეთის ვერ დააკმაყოფილებს ქარხნების რთულდენ მოთხოვნილებასაც კი. რიზისი საშინელი იქნება.

და, ცხადია, რუსეთი იძულებული შეიქნება ბოლოსდაბოლოს აიღოს ხელი ებრაელთა შევიწროებაზე.

ამგვარათ პოლიტიკური წონასწორობის პრინციპის გამარჯვება და იმპერიალიზმის დამარცხება ქმნის სახელმწიფოთა ცილობას და ცილობა კი ერთა თანასწორობასა და პროგრესს.

ისარი.

ნარკვევი.

„სახალხო გაზეთის“ კვირის ნუმერში „სიტყვა“ მწარეთ დაღონებული ილიას სახელის გარშემო ატეხილი განგაშით სწერს:

„უკუვაგდოთ წუთიერათ მაინც ყოველი პარტიობა, დანაწილება, ჯგუფობა და სადის ადამიანურის თვალით შევხედოთ მომხდარს საშინელს ამბავს და ჩვენს თავსაც. ნათლად, სავსებით, პირდაპირ დავინახოთ ის უფსკრული, რომელიც გათხარა ჩვენს ცხოვრებაში ილია ჭავჭავაძის მოკვლამ. შევიგნოთ მთელის ჩვენის არსებით სამწარე შესანიშნავი მამულიშვილის, პოეტის, მოაზრის გულის განგმირვისა და შუბლის გახეხისა. განვიცადოთ სრული ვაება იმ ეროვნული ტრაგედიის, რომლის შინაარსია ილიას მოწამებრივი სიკვდილი.

შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ ილია მარტო ჩვენ დროს არ ეკუთვნოდა, რომ იგი მრავალ ათასი წლის კულტურული ცხოვრების შვილია და განაგრძობს:

„მთლად ნუ დაბნელებულა ჩვენი გონება და ნუ დავშორებივართ დღის სინათლეს! ყველა ვართ დამნაშავენი, მთელი ერია ილიას ჭავჭავაძის მკვლელი, მისი უმანკო სისხლი ყველას კისერზეა. ვსთქვათ გაბედულათ, შეგნებულათ, გულმართლათ, ახლავე, რომ გადავცდით ბრმები, უგუნურები საზღვარს და ბინძური, მომაკვდინებელი ხელი აღვმართეთ ერის სიამაყის და დიდების წინააღმდეგ!“.

დაბოლოს ავტორი მოუწოდებს ყველას საქვეყნოთ აღვიაროთ ჩვენი ცოდვა.

„თუ ყველას გვაქვს ბრალი ილიას სისხლისა და ტვინის დანთხევაში, ყველაზე მეტათ იმ წრეს, რომელმაც ძალზე მოწამლა ჰაერი ილიას პიროვნების გარშემო და [illegible] შესაძლებელი გახადა [illegible] ჩადენა. ნუ გვაწყენთ, ბ-ბო პროტესტანტებო, რომ ზოგიერთმა თქვენმა მოაზრემ, მაგ. სტუდენტებმა, შეუძლებლათ დაინახეს მწუხარების გამოთქმა პოეტის მოკვლის გამო!.. რას მოწმობს ეს და ამის მსგავსი სხვა ამბავი? როგორი იყო ატმოსფერა მაშინ ილიას გარშემო და იგი რამ წარმოშვა?..

უფრო კეთილშობილური იქნებოდა თქვენი საქციელი და უფრო სწორს გზაზე იქნებოდით დამდგარნი, თუ პროტესტების წერას და ზიზღების გამოცხადების მაგივრ, დადუმდებოდეთ და დუმილში შეიგნებდეთ ერის საერთო მძიმე დანაშაულს“!.

ის შესაფერი რწმენით არის გამო- ლი და შემწირველთაც სულის ცხო- ათვის ზრუნვა არ ალუძრავთ სა- მოქმედოთ, არამედ ის სურვილი, სააქაოს, ამ სოფლად მოყვასთა ყო- ოვრება გაუმჯობესდეს, საერო საქმე დეს.

რეულს წარსულში, ქრისტეს მოძღვ- ით გატაცებული ქართველი ქველ- საყდარსა და საკურთხეველს , ამით კერპთთაყვანისცემას ჭეშმარიტი ღმერთის ძლიერე- მოჩენას ესასოებოდა, ახლანდელი ველი საერო თაძარსა და მის სა- ველს ამაგრებს, ერისა და ქვეყნის რელი ძალმომრეობის შესაფერხე- ალსა ლესავს, თავის წვლილს ანალური ძალღონისა და ძლიერე- ამოსაჩენათ სდებს, საერო შკოლი- აღზრდის გასაძლიერებლათ იჩენს კლილობას და არა მხოლოდ სუ- ცხონების იმედით.

, მგონია, სახარების მორალსაც ეილებს და თვისი დაჩაგრული მშო- ერის საბედნიერო საქმესაც ემსა- .

ალოშვილები, დ. სარაჯიშვილი და უღლე, ი. ქავქავაძე, ი. გოგება- , ნ. ხახანაშვილი, ნ. ღოღობერი- შვილმან შემწირველებს აღარ ვახსე- ავი, მოკლე სია იმ ქველმოქმედ ლთა, რომელთაც ახლანდელი შესაფერ ქველმოქმედებას დაუ- სათავე და ქვაკუთხედი.

ქვეყნის საბედნიეროთ, თუმცა ად და დროგამოშვებით, მაგრამ მაინც ქართველ საზოგადოებაში მათი მაგალითის მიმყოლნი და მიმბაძველნი თანდათან ჩნდებიან.

ჩვენი გაზეთის კვირის ნუმერში აღნიშნული ,,კეთილი საქმე‘‘—პუპი—ნინო აბაშიძის შეწირულების შესახებ რომელ ქართველს არ გაახარებს?! და მეც ყოველი ასეთი სამაგალითო ქველმოქმედების გაგონების დროს რაღაც აუწერელი აღტაცება ამიტანს.

თვალწინ წარმომიდგება ქართველი კაცის და საზოგადოების მკვდრეთით აღდგომა, გამოფხიზლება იმ სალათას ძილიდან, რომელშიც მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ბანგმა ჩაგვაგდო...

იმედი დაგვესახება, იმედი ჩვენი ადამიანთ ქცევისა: ვიფიქრებ: უთუოდ დროებით გადაკვეთილი და მიძინებული ჩვენი კეთილ-ზნეობა ისევ იღვიძებს.

ერთმანეთის ჰამიობისა და მხეცური ეგოიზმის მაგივრათ, ერთიმეორის შებრალების და მოყვასთა სიყვარულის სულს კიდევლა შერჩენია ჩვენს არსებაში სასიცოცხლო ძალა; მიხარია, რომ კიდევლა შევგწევს ზნეობითი ძალა საერთო და საერო გაძლიერების გზით ვიაროთ, კიდევლა გვიღვივა გულში იმედი ქვეყნის გამობრუნებისა, კიდევლა შევუდგებით დარღვეული სულის გამთელებას და ისეთი ახალი ძალით გავიმსჭვალებით, როგორი რელიგიური ძალითაც აფრთოვანებული იყვნენ ჩვენი წინაპარნი ქველმოქმედების ასპარეზზე.

მეგობარი.

ახალი ამბავი.

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭომ ჭიათურაში რამდენიმე საქმე გაარჩია და საბჭო ქუთაის დაბრუნდა.

✦ საბჭოსა და მის მუშებს შორის მოლაპარაკება ორივე მხარისთვის სასურველათ მოწესრიგდა.

✦ სპეციალური საგნების მასწავლებლათ ჭიათურის ტეხნიკურ სასწავლებელში საბჭომ ინჟინერი დანიელ ყიფიანი მოიწვია.

✦ მოსიარულე ექიმათ სამრეწველო ქარხნისთვის საბჭომ ექიმი ვასილ ბერეჟიანი მიიწვია.

✦ თანახმად ადმინისტრაციის განკარგულებისა ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭომ სარეცხი ქარხნების კონტროლიორათ ხუთი პირი მიიწვია, მათ ევალებათ თვალყური ადევნონ ნარეცხი წყლის უდროოთ გამოშვებას. ნარეცხ წყალს კვირაში ერთხელ გამოუშვებენ.

✦ ვაშაკიძე გვწერს:—შემთხვევა მქონდა 27 ივლისს დამეთვალიერებია ნ. გ. ამირაღოვის მიერ სოფ. ღებში (რაჭ. მაზ.) ციხის ნანგრევებში ნაპოვნი ხის ძველი მუსიკალური იარაღი იგი სრულებით არ გავს არცერთს ამ დროინდელ მუსიკალურ იარაღს და ღრმა მოხუცებულებსაც ვერ უთქვამთ მისი სახელი. დარწმუნებული ვარ ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს და შეეცდება ხსენებული ნივთი არ დაიკარგოს.

✦ ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნუმერში მოთავსებული იქნება ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის ფ. კ. გერშელმანის აზრი კავკასიის სახალხო შკოლებში სწავლა-აღზრდის შესახებ.

✦ გაზეთი „Зак. Рѣчь“-ის შაბათის ნუმერს კონფისკაცია უყვეს მოწინავე წერილის გამო, რომელიც ქუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლათა დირექციის მოქმედებას შეეხებოდა.

✦ პეტერბურგიდან ცნობაა:—ხელმწიფე იმპერატორმა კითიონ ინება და დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტის მიერ წარდგენილი მოხსენება, რომლითაც ფედოროვს!. ტაგიანოსოვსა და თავად პ. თუმანიშვილს უფლება ეძლევათ შეადგინონ სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც სახელათ „შუა კავკასიის რკინის გზათა საზოგადოება“ ერქმევა.

საზოგადოება ფართო ლიანდაგიან გზას გაიყვანს ბაქოდან წყნორის—წყალამდი (სიღნაღის ახლო) გზა შემახიაზე, ნუხასა და ზაქათალზე გადაივლის.

✦ 4 აგვისტოს ბორჯომში ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების აჟგილობრივი განყოფილების სასარგებლოთ საღამო—სეირნობა გაიმართება.

✦ კვირას, 28 ივლსს, ადგილობრივ საკათედრო ტაძარში ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პროფესორის ა. ხახანაშვილის სულის მოსახსენებლათ გადაცვალიებიდან წლის თავზე გადაიხადეს პანაშვდი.

✦ სწავლა-განათლების სამინისტრომ ნება დართო მომავალი შემოდგომიდან ხაზინის ხარჯით სამი უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი დაარსდეს: ბაქოს, ქუთაისსა და ონში. პირველი ორი სასწავლებლის ყოველწლიური ხარჯი 7,190 და მესამის—1890 მანეთს უდრის.

✦ ფოშტ-ტელეგრაფის უწყებას შეუმუშავებია პლანი რადით დეპეშათა გადამცემ და მიმღებ სადგურების გამრავლებისა 1914 წლისათვის. ერთი ასეთი სადგური ფოთშიც იქნება.

✦ გორის მაზრიდან ცნობაა: წელს პურისა და ღვინის მოსავალი კარგი პირი უჩანსო, ხილი კი ცუდ იამინდების გამო მთლად წახდაო.

✦ ოფიციალური ცნობების თანახმათ წელს სოხუმში პურის მოსავალი გვარიანი ყოფილა, თამბაქოსი—საშუალო და ხილისა კარგი.

მართალია, თუ არა?

ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი არაფითარ ღონესა და საშუალებას არ ერიდებიან, როცა გვებრძვიან კალმით თუ სხვა საქმით. ეს სამარცხვინო ბრძოლა მათი უფრო მკაფიოთ იახება ჩვენი გაზეთის გავრცელების საქმეში. არა ერთი მაგალითი ვიცით იმისა, რომ აგენტები განზრახ არ აძლევენ გარდა მათისა სხვა მიმართულების გაზეთებს. იბირებენ ჩვენი გაზეთის გამყიდველებს. რამდენათ შესაწყნარებელია იდეური ხალხის ასეთი ბრძოლა ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ—ამას განმარტება არ სჭირია. ერთს მაგალითს ვერ გვიჩვენებენ ეს იდეის შოვინისტები, რომ ოდესმე ჩვენ ან ჩვენიანებს ასეთი ცოდვა ჩაგვედინოს. იყო იმის მაგალითებიც, რომ ჩვენი გამომცემლებისთვისაც მიუმართავთ... ხელი აიღეთ გადმოგვეცით თქვენი გაზეთიო.

რომელ ერთს უნდა გავუძლოთ:—ზევიდან დამოკლეს მახვილი და ქვემოდან ნაძირალების ძალმომრეობა...

ასეა, თუ არა... პასუხი!

ს ა მ შ ა ბ ა თ ე ლ ა.

შემთხვევით ჩამივარდა რამდენიმე „საპროტესტო წერილი“. შინაარსითაც და კილოზეც ემჩნეოდა ჩვენი არ უნდა ყოფილიყო, მომტანს ვუთხარით კიდეც, რომ „საპროტესტო წერილების“ რედაქცია ჩვ ნ არა ვართ-თქო, მარა მოგვიგდო კაი მოზდილი ტომსიკა:—აქამდი მომითრევია და აწი თქვენ იცითო! ერთი კვირეა მოვათრევ ამასო. დაუყევი ხონიდან, გამოვიარე ივანდიდი, გუბი, კუხი, მაღლაკი, წყალტუბო, ბანოჯა, სლაბოდკა და აქამდი მოვაწიე და აწი ამის თრაქვის თავი არა მაქვსო!—დასტოვა და მოქუსლა. შევფიქრიანდით ყველა, მარა, ვიფიქრეთ, იმათ ტომსიკებით კი არა, ტომრებით მისდით ამგვარი ამანათები და ეს გადავცეთ სამშაბათელას—როგორც მოეპრიანოს, ისე გამოიყენოს. მეც მოვხსენი გამაგრული თავი იმ ტომსიკას და ამოვაძვრინე ერთი შეკვრა, რომელსაც ეწერა:

ბანოჯის აგურ-საკირ-ქარხან-ზაოდ-ფაფრიკების ნოქარ-მუშათა-პროლეტართა პროტესტი.

„პროვოკატორ მამულიშვილების დემაგოგიურმა ცილის წამებამ, მათი შავრაზმული გაზეთების განგაშმა მოწამლა ატმოსფერა და გაყინა არა მარტო ჩვენი სული და გული, გაყინა და გააგრილა თვით ჩვენი საკირე ქურებიც. მოგვაწოდეთ [illegible] აგენტები შეგნებით, არ ყიდიან რათა შევუკეთოთ ამ ქურებსა. გაჩუმდენ და ხმა ჩაიწყვიტონ, თვარა... ბანოჯის კირით ამოუკირწყლავთ მაგეებს.. მოსცხეთ მაგენს, გენაცვალეთ ამხანაგებო!

ბანოჯის საკირ-ქარხან-ზაოდ-ფაფრიკების მუშათა წარმომადგენელნი: ბასილა წვინტლაძე, ონისიმე ღვალეფაძე, ბათლომე ბუქუაძე, აპალონე ეძგვერაძე. (გამოგვიგზავნეთ ჩვენი იდეური გაზეთის ათასი ცალი.)

ეს ერთი.

ამოვიღე მეორე შეკვრა—ეწერა:

წყალტუბოს რადის (чему мы очень рады-сь) **აბანოთა მუშების პროტესტი.**

„მოგეხსენებათ თვისება რადის. იგი თვით ფოლადის ზღუდესაც სჭრის და მანათობელ სხივებათ გადის. ამასვე სჩადის დასელთა მოძღვრება და რიცხვი მათი მიმდევრებისა უმრავლეა თვით ჩვენი აბანოების ბინებსა შინა დაბუდრებული ბაღლინჯოებისა,.. ოო, რამდენი ენერგია დაგვიხარჯავს ჩვენ ამ საზიზღარი მღილების წინააღმდეგ... მაგრამ მას შემდეგ, რაც რადის სუნი გაჩნდა აქ, მოისპო მათი სინსილაც. ჩვენს ფილიპეს ვენაცვალეთ, ერთი გვამცნოს და კაი ნაბრეგს ამ რადისას მივაწოდებთ, რათა აღგავოს ზურგიდან დედა მიწისა „სახალხო გაზეთი“. „იმერეთი“ და „თემიც კი, „თემიც“ არ დაზოგოს.“

წყალტუბოს აბანოსა მუშები წარმომადგენელნი: გლახუნა რადიშვილი (რატიშვილი უნდა იყოს, მარა რადის გავლენით რადიშვილათ გადაკეთდა). ბუქუა ლოდიძე ნასტია კუდაძე, კატია ბზიკაძე, კვიტია კუდაბზიკაძე და ძმანი მათნი.

ეს მეორე.

ამოვიღე მესამე შეკვრა—ეწერა:

დაგვიანებული პროტესტი.

„ამხანიკებო! სირცხვილი თქვენ, რომ აღუნიშნველად გამოგრჩათ ერთი მოვლენა, რომელსაც საპროტესტო „მესტო“ ქონდა ჯერ კიდევ ცხრაას ხუთში, დღეს რომ თფილისის ტრამვაის კონდუკტორვატმანები, რომელთა მეტი ნაწილი პოლიციიდან გამოგდებული დესტნიკები საგან შესდგება და რომელნიც ამ უკანასკნელ დროს გაშავებულ ბედიისა და ერთი პოლიციის მოხელის მოხერხებითა და ქამანდებითარიან მიღებულნი ტრამვაიზე.. დღეს, ვამბობთ ჩვენ, როცა ესენიც ეგზომ შეგნებულები გახდენ, რომ ექომგვაბან ფილიპე მ. ხარაძეს, საჯ იყავით თქვენ, აფხანიკებო-მეთქი, ოდეს ამ ჩვენს თვალის ჩინს, ზეკაცური პატიოსნებითა და სინდისით გადმოკარნახებული [illegible] კინჩხში ქოდგა [illegible], [illegible] კი- არა—ათეულ. ეს მოხდა ცხრაას ხუთში და ჩაიდინა იგი მანდილოსანმა [illegible] ჭეშმარიტათ გვიკვირს, რომ არც ერთმა ჩვენმა მგოსანმა, არც რუბენამ და არც ნოემ ამ მოვლენის გამო აქამდი არ დასწერეს ოდა!.. ჰო და, ახლა, თუმცა რვა წელმა განვლ ა მას შემდეგ—პროტესტს ვაცხადებთ და თანაგრძნობას ვუცხადებთ ამ ქართველი სუფრაჟისტკას სხვერპლს‘‘,

ივანდიდ-კუხ-გუბის პროლეტარები...

არ გეგენოს მკითხველო, რო ტომსიკა ამოვცალე, ზოგიც მერე იყოს...

სამშაბათელა.

უცხოეთი.

არაბების და თურქების მორიგება. დიდი ხნის უთანხმოებას შემდეგ არაბები და თურქები შეთანხმდენ: მინისტრთა საბჭომ საბოლოოთ გადასწყვიტა შეუთანხმდეს საყურადღებო რეფორმების გამოცემის დროს არაბებს: არაბების ენა ოფიციალურათ აღიარეს. არაბთა პროვინციებში გადასწყვიტეს გახსნან პირველ დაწყებითი შკოლები უფრო ფართე პროგრამით სადაც არაბულ ენას უმთავრესი ადგილი ეკავება. შინაურ საქმეთა მინისტრმა ტალატ. ბეიმ განიხილა ეს შეთანხმების პირობები და გადასწყვიტა მათი მალე განხორციელება. ეს ხელ შეკრულობაო, სთქვა მან, უფრო განამტკიცებს ჩვენსა დ არაბს შორის კავშირს. ჩვენ მზათა ვართ მოვიწვიოთ კაბინეთში მაღალ თანამდებობებზე არაბიო, ავირჩევთ მათ შორის სახელმწიფო მოღვაწეებს და მინისტრობას მივსცემთო.

კანტონის აღება. ჩინეთიდან ოფიციალური ცნობაა—ჩრდილოეთლებს გაუმარჯვებიათ, კანტონი აუღიათ. სამხრეთ რევოლუციონერების მიერ არჩეული პრეზიდენტი ჩენჩუნჩიანი გაქცეულა. [illegible] კავშირ მოელიან შეტაკებას.

მშრომელი ხალხი.

პეტერბურგის მუშების მუდმივი სიფხიზლე და მოძრაობა, მათი ყოველსაზოგადოებრივ მოვლენაზე გამოხმაურება, მოსვენებას არ აძლევს მართველ წრეებს და რეპრესიებით, სოციალისტურ გაზეთების კონფისკაციებით, გაჩხრეკა დაპატიმრებით ცდილობენ, გაანელონ, დაშალონ და დაასუსტონ მუშათა მოძრაობა. დღეგამოშვებით კონფისკაციის წინააღმდეგ გაზ. „რაბოჩია პრავდა“ ასეთი ზომების მიღებას ურჩევს მუშებს:

კონფისკაციით სურთ მატერიალურათ ზარალი მოგვაყენონ, დააცარიელონ გაზეთის კასა, მოუსპონ მუშათა ორგანოს წყალი და შუქი...

ამის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება. ბრძოლის გზა ერთია: ცალკე ნუმრების ყიდვის ნაცვლათ გაზეთის გამოწერა წლით, ნახევარი წლით, სამი თვით და სხვ. გაზეთი შეეხება ევროპის მუშათა პრესას და აღნიშნავს, რომ იქ იგი დამყარებულია მუდმივ ხელის მომწერლებზე და თუ რუსეთშიც ამგვარ ნიადაგზე დადგება საქმე მაშინ კონფისკაცია არც ისე საშიში იქნება ჩვენთვისო, დასძენს გაზეთი. (ცუდი არ იქნება ჩვენმა მკითხველებმაც ყურადღება მიაქციონ ამ მოვლენას.)

გაფიცვა მილანში. მილანში ყოველდღე შეტაკება ხდება გაფიცულთა და პოლიციას შორის. რამდენიმე დემონსტრანტი მძიმეთაა დაჭრილი. დემონსტრანტთა ბრბო ქუჩებზე წვებოდა, რომ ცხენოსანი ჯარისთვის გასავლელი გზა არ მიეცათ. რამდენიმე ადგილას გაფიცულებმა ქვაფენილი აყარეს და პოლიციელებს ქვებს ესროდენ. სამუშაოთ გამოსულ მეეტლეებს ძალით აბრუნებენ შინ, მცხოვრებთა უმრავლესობა გაფიცულებს შეუერთდა.

გაფიცვა ლოძში. ლოძში საქსოვ ქარხნების გაფიცულ მუშათა რიცხვი 85 ათას კაცამდი ადის. მექარხნეები მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილების წინააღმდეგი არიან და უნდა შიმშილით აიძულონ მუშები, გაფიცვას თავი დაანებონ. დაპატიმრებულ მუშათაგან 60 გაათავისუფლეს, 83 ლოძიდან გააძევეს.

— 70 დღის გაფიცვას შემდეგ ნავის გემების ამშენებელი ქარხნების მუშები საქმეს შეუდგენ. მათი მოთხოვნილების უმეტესი ნაწილი დაკმაყოფილებულია

მიღებულია:
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ბორჯომის წყალი		თავის ქურჭლით. 1 ბოთლი	10 ბოთ.	ყუთი (ია.)
	1/2	26 კ.	2 მ. 40 კ.	14 მ. 50 კ.
	1/2	16 1/2 კ.	1 მ. 60 კ.	15 მ. 75 კ.
ნარზანი და ესენტუკი № 20	1/2	14 1/2 კ.	1 მ. 40 კ.	13 მ. 50 კ.

დ. ხონი.

21 ივლისს, კვირას, ხონის საზოგადო საკრებულოში, მოხდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილების წევრთა წლიური კრება.*) გასულ 1912 წ. საზოგადოებას ყოლია 60 წევრი. ამათგან კრებაზე დაესწრო მხოლოდ 22 წევრი და რამდენიმე გარეშეც. კრებას თავმჯდომარეობდა გამგეობის თამჯდომარის ამხანაგი ქ. ეკატერინე ბახტაძისა. კრების გახსნისას თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ჩვენი უდროვოთ გადაცვალებულის ლიტერატორის ბ. არჩილ ჯორჯაძის, და ხონის მოღვაწის ივანე შარაშიძის ხსოვნას.

კრებას განსახილველი ქონდა! 1. განხილვა და დამტკიცება გასული 1912 წ. ხარჯთ აღრიცხვისა; 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3. დამოკიდებულება ხონის თეატრთან; 4. წიგნის მაღაზიის საქმე; 5. გამგეობის თავმჯდომარის ერთი წევრის და სარევიზიო კომისიის ორი წევრთა არჩევა და 6. ახალ წევრთა მიღება საერთოდ კრება სოლიდარული იყო, თუმცა იყო რამდენიმე პირთაგან წირმოთქმული მკვახე სიტყვები (ამათ 29 აგვისტოს არჩევის მერე, ერთი მიზეზის გამო უარი განაცხადეს გამგეობაში მუშაობაზე), რომლითაც ბრალს სდებდენ გამგეობას სოლიდარობის დარღვევისას, მაგრამ კრებამ ამას ყურადღება არ მიაქცია, რადგან გამგეობის მომხსენებელმა, ბ. მათე ბახტაძემ, დაუმტკიცა კრებას იმათი ბრალდების უსაფუძვლობა წესდებით და თვით მთავარ გამგეობის მუხლ და მუხლ განხილვას შემდეგ, კრებამ ხარჯთ-აღრიცხვა ერთხმათ დაამტკიცა. თეატრის შესახებ აღმოჩნდა, რომ გამგეობას ყოლია სამი წევრისგან შემდგარი სათეატრო სექცია. ეს სექცია ახდენდა სათეატრო ჯგუფის კრებას; ამ კრებაზე ჯგუფი ირჩევდა ამ სექციასთან ერთად საერთო სათეატრო გამგეობას, რომელიც შედგებოდა 11 წევრისაგან. სექციის სათეატრო წევრები, როგორც ხედავთ, შეადგენდენ დიდ უმცირესობას, რის გამო არ იყო დაცული ინტერესი თვით წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა: იწვევდენ იმდენს და ისეთს მსახიობებს, რომელთა ხარჯის ატანა ხონის თეატრს არ შეეძლო.

კრებამ მოხსნა თეატრზე 75 მან. ვალი და სასურველად სცნო ჩამოიცილოს თეატრის საქმეები და ამ საქმეს გაუძღვეს სათეატრო ჯგუფი, რომელშიც თვით მიიღებენ მონაწილეობას და ყოველივე დახმარებას აღმოუჩენენ ამ საქმეს რაც შეეხება წიგნის მაღაზიას, მომხსენებელმა აცნო საზოგადოებას, რომ მიუხედავათ გამგეობის დიდ ცდისა და შრომისა, იგი ყოველ წლივ ზარალს იძლევა და არ ამართლებს ჩვენს შრომას და მოლოდინსო და თანაც თხოვა საზოგადოებას—ეს კითხვაც საბოლაოთ გადაეწყვიტა. კრებამ ამ საქმის ასე თუ ისე საბოლაოთ გადაწვეტა გამგეობას მიანდო და ამასთან დაავალა მოიწვიოს ვაჭართაგან სამი წევრისაგან შემდგარი კომისია და ამათთან ერთად შეიმუშაონ ეს კითხვა. შემდეგ აღძრულ იქნა კრებაზე კითხვა გამგეობის წევრთა რიცხვის გადიდებისა ათამდი, მაგრამ ხმის უმეტესობით სასურველად სცნეს შვიდი წევრის დატოვება, თავმჯდომარეთ ისევ აირჩიეს ერთხმათ ბ. ალექსი ჰიქინაძე, გამგეობის წევრათ მასწავლებელი ლადიმერ ნადარეიშვილი და სარევიზიო კომისიის წევრებათ მასწავლებელნი, ემელიანე ცაგარეიშვილი და ანდრო ბახტაძე. ბოლოს 12 ახალი წევრი მიიღეს.

საერთოდ გამოირკვა, რომ განყოფილების საქმეები მოისუსტებს.

ერთ ორ წევრს, რაც უნდა დიდი ქაპანი წყვიტონ, არ შეუძლია მთელი გამგეობის დანიშნულება შეასრულოს. ზოგი წევრნი გამგეობისა თვალსაჩინო დროს და შრომას ხარჯავენ საქმეზე დღიდან განყოფილების დაარსებისა. მომავლისათვის გამგეობამ ბევრი საქმეები ჩამოაცილა. ვერ შევრიგებივართ წიგნის მაღაზიის ახლანდელ მდგომარეობას. რითი აიხსნება ამ სიმპატიური დაწესებულების ასე დაქვეითება? იმ დროს, როცა მაღაზიას განაგებდენ ბ. გრიგოლ ბურჭულაძე და სხვები, მოგებაც კარგათ იყო. ახლა კი სულ ზარალობს და ზარალობს? ვუსურვებთ გამგეობას მეტს თავგამოდებულ შრომას.

სასურველია, რომ ივანე შარაშიძის სახელობაზე გახსნილ შკოლას განყოფილება მიიღებდეს, რადგან მთავრობამ მაინც მოუსპო თავისი სუბსიდია, და კიდევაც რომ არ მოესპო, მაინც არაა სასურველი, რადგან მოითხოვდენ, რომ სწავლა ეწარმოებიათ ისე, როგორც სხვა სახელმწიფო სასწავლებელში, ესე იგი, სრულიად განდევნილი თუ არა, დიდათ შევიწროებული იქმნებოდა სამშობლო ენა. მე მგონია სალიტერატურო საღამო-ლექცია-სეირნობაზე შემოსულით ფული შეიძლება გასწორდეს ერთი მასწავლებლის ჯამაგირი და სხვა ხარჯები კი თვით ბავშვთა სწავლების ქირიდან გასწორდება.

სასურველია, რომ გამგეობა ითავებდეს სახალხო უნივერსიტეტის გახსნას. ამის შემწეობით უნდა მოეწყოს როგორც თვით ხონში, უფრო იმ სოფლებში, სადაც ჩვენი სამკითხველოებია სახალხო ლექციები გლეხთათვის, მით უმეტეს, რომ ამისათვის ძალები ადგილობრივაც მოიპოვება და სხვანიც არ დაშურავენ თავის შრომას ხალხის საკეთილდღეოთ. სასურველია—ხონის ირგვლივ მდებარე სოფლებიდან შემოვიმატოთ შევიძინოთ, [illegible] გან გავხლართოთ ეროვნული დაწესებულების ქსელი.

დამსწრე.

---

*) ამ საგანზე ჩვენი გაზეთის ნუმერშიც იყო წერილი, ახლაც ვბეჭდავთ უფრო დაწვრილებით ცნობებს.
რედ.

* * *

ლეჩხუმი.

სასიხარულო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება რომ ჩვენ რაჭა-ლეჩხუმშიც, აღმოჩნდენ ისეთი პირები, რომელნიც ცთილობენ ხალხში გონებრივი განვითარება გაავრცელონ. ასეთი პირების წყალობაა, რომ დღეს არსებობს სამკითხველო, ლაილაში, ჭრებალოში, სადმელში, წესში და აღძრულია აგრეთვე შუამდგომლობა წ. კ. გ. ს. ქუთ. განყოფილების წინაშე, გაიხსნას სამკითხველოები დერჩში, ალპანაში და სხვაგანაც, მართლაც რომ სასიხარულოა ჩვენში ასეთი კულტურული დაწესებულების გამრავლება, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, არ იქნა ვერ მოვაწყვეთ ჟურნალ გაზეთების მიღების საქმე ისე, რომ ყოველ დღე მივეღო, მაშინ როდესაც ეს საქმე არც ისე ძნელი მოსაწყობია. „იმერეთის“ ჟურნალ გაზეთების კანტორის გამგემ ბ: ი. კვიცარიძემ დიდი დახმარება გაგვიწია ამ საქმეში. პირველათ ის „ლინეიკებით“ გვიგზავნიდა, მაგრამ გაზეთები მაინც გვეკარგებოდა და თუ მივიღებდით, დასველებულს, გასვრილს. შემდეგ ტყავის ჩანთებით უგზავნიდა აგენტებს და კლიტეებიც დაურიგა მათ, რომ სადგურებზე მიეღოთ, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა, რადგანაც ჩანთები ხშირათ არ მოჰყვებოდა „დელეჟნებს.“ ახლაც მიდის გაზეთები ლაილაშის და ჭრებალოს სამკითხველოებს, მაგრამ კვირაში ორ-სამხელ თითო ნუმერი, და დანარჩენი სად მიდის ალაჰმა უწყის.

ყოველ დღიურათ გაზეთების მიღებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ექნება და ამიტო შეიძლება ეს საქმე ასე მოეწყოს: 1, ვსთხოვთ რაჭმ-ლეჩხუმის მიმოსვლის მოიჯარადრეს ბ. იასონ ახვლედიანს და სხვებს, დაგვრთონ ნება, ჩამოვკიდოთ ორივე დახურულ დილიჟანზე თითო ჟესტის ყუთი, რომელიც ოთხ-ხუთ მანეთზე მეტი არ ეღირება და ასეთ ხარჯს არ დავერიდებით, ოღონდ ჟურნალ გაზეთების მიღების საქმე მოეწყოს. ამას შემდეგ შეიძლება სამკითხველოებმა და კერძო პირებმაც და ერთერთმა რედაქციამ, ან იმავე „იმერეთის“ ჟურნალ-გაზეთების კანტორამ იკითხოს ეს საქმე, გვიწყოს ყუთებში გაზეთები წარწერით, დაკეტოს და აქეთ კი ჩვენგან დავალებულ პირთ შეეძლებათ სადგურებზე იქონიონ გასაღებები და მიიღონ გაზეთები ამავე საშვალებით ბარათების გზავნაც შეიძლებოდა მოწყობილიყო. როგორც გადმომცეს პატივცემულ ის. კვიცარიძეს ასეთ შრომაზე თანხმობა გაუცხადებია, რისათვის დიდი მადლობის ღირსია. კარგი იქნება, თუ ბ. ი. ახვლედიანიც თავის მხრით ნება-რთვაზე დროით გვაცნობებს რასმე და აგრეთვე სამკითხველოს გამგენი თავის აზრს გამოსთქვამდენ. ცოტა წვლილის გამოღებით საქმე გაკეთდება. ჩემი მისამართი: სადგური ალპანა, კეჩეკმაძის სახლი.

სამსონ ფრუიძე.

* * *

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაკტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ამ ჩემს მცირე შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში:

რადგან ბ-ნი კოსტანტინე ოცხელი თავის ცირკულიარებით დაჟინებით აცხადებს, რომ თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია გაუქმდა და მის მაგიერ ახალი, ე. ი. კოსტანტინე ოცხელის წიგნის მაღაზია დიარსდაო, იძულებული ვარ, საყოველთაოდ გამოვაცხადო, რომ ჩემი მაღაზია კი არ გაუქმდა, არამედ განახლდა, ე. ი. ორი წევრი ამხანაგობიდან გამოვიდა და მათ მაგიერ სხვა ახალი შემოვიდა.

თ. მთავრიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე.**

რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის.

თფილისს:	სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.
ბათომს:	სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. სად.; სახ. 11 ს. 27წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.
ფოთს:	საავარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. სად.; სახ. 7 ს. 56 წ. სად.
შორაპანს:	საავარ. 4 ს. 57 წ. დღ.
ტყიბულს:	სახ. 7 ს. 50 წ. დილ,; სახ. 3 ს. 45 წ. დღ.

ქუთაისს მოდის.

თფილისი-დან:	სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 წ. სად.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სად.; სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.
ბათომიდგან:	ფოშტ. 1 ს. 20წ. დღ.; სახ. 11 ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; სახ. 7 საათ. დილ-
ფოთიდან:	საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ.
შორაპნიდან:	საავ. 9 ს. 31 წ. დილ
ტყიბულიდან:	სახ. 5 ს. 11 წ. დღ. საათ. 9 წ. დილ.

ქ. ქუთაისში (სობოროსთან
ა. თაბაგარის მაღაზიაში
20 ივლისიდან დანიშნულია
დიდი იაფი ვაჭრობა
ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები და მათი მოწყობილობა.
●●◘ ფასები ძლიერ დაკლებულია ◘●●

აქციონერული საზოგადოება.
ს.-პეტერბურგის **ქიმიური ლაბორატორიისა**
იზმაილოვის პროსპ. № 27
პარიზი 1900 **ოქროს მედლებით** ნიჟნ-ნოვგ 1896.
ქინაქინის წყალი თმისთვის
როგორც შეზავებული ჯანმთელობისათვის არა მავნე ნივთიერებიდან პეტერბურგის საქიმო მართველობისაგან სავაჭრო დებულებათა მიხედვით გასაყიდათ ნებადართულია.
იყიდება ყველა კავკასიის სააფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.
„პატოკსან“.
„პატოკსან“ შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.
„პატოკსან“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ლონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).
„პატოკსან“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,
„პატოკსან“ ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.
„პატოკსან“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.
ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.
ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** თფილისში ვერის დაღმარ[illegible] № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში“.

აბანო
ძმ. ყორყოლაძეებისა
მიმართეთ ჰირდაპირ 15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი მადნეული წ
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხ
სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და თავის ტ
ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. ფასი ხელმისაწდომ
სილის რკ. გზ. სადგურიდან ორმოცდაათი საჟენის მანძილზეა. იქვეა სუფ
ნა და სასმელსაჭმელი.

გ. გორდაძის და ს. წერეთლი
ერთად ერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ო
უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩავ-მალცევის ბემსკის
ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მისის ყუთზე ნიშანს „БЕМСК
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-საბეჭდავი [illegible] და [illegible] ქუთაისში.